საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030173822753520

№ 01-524/ო **28 / ოქტომბერი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მძიმე და კრიტიკული შემთხვევათა მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეანიმატოლოგთა კლინიკური ჯგუფის შექმნის შესახებ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მძიმე და კრიტიკული შემთხვევების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მძიმე და კრიტიკული შემთხვევების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნას რეანიმატოლოგთა კლინიკური ჯგუფი (შემდგომში - რეანიმატოლოგთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან რატიანი - სსიპ - თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

ბ) ქეთევან მაჭავარიანი - სსიპ - თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

გ) გრიგოლ ხურციძე - სამედიცინო კორპორაციის ევექსის გენერალური დირექტორის მოადგილე, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

დ) ირაკლი გოგოხია - სს - ამერიკული ჰოსპიტალი თბილისში - კლინიკური დირექტორი, ანესთზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

ე) თამარ ქაჩიბაია - შპს - ,,აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა", რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი.

ვ) ნიკოლოზ ქარცივაძე - შპს - „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

ზ) ალექსი გოხელაშვილი - ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

თ) ინეზა სულამანიძე - შპს - ბათუმის სამედიცინო ცენტრი, რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

ი) ზაზა მეტრეველი - შპს - „ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალის“ კლინიკური მენეჯერი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

კ) მამუკა ჩხაიძე - ააიპ - „ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი;

ლ) გიორგი გოცაძე - შპს - "მედიქლაბჯორჯიას" სამედიცინო დირექტორი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი.

2. რეანიმატოლოგთა ჯგუფის ძირითადი ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მძიმე და კრიტიკული შემთხვევების კლინიკური მართვის კოორდინაცია, მ.შ. ჰოსპიტალიზაციის, რეანიმაციულ მართვაზე გადაყვანის და გაწერის პროცესის კოორდინაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ მითითებულ რეგიონებში და კლინიკებში;

ბ) სამინისტროს მითითების და სათანადო ხელშეკრულების შესაბამისად ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19-ის დიაგნოზის დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის მობილიზებულ კლინიკებში კრიტიკული პაციენტების მართვაში უშუალო მონაწილეობა;

გ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მძიმე და კრიტიკული შემთხვევების მართვის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) შემუშავება და სამინისტროსთვის წარდგენა დასამტკიცებლად;

დ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) ლეტალური შემთხვევების ანალიზი;

ე) ექიმთა პერიოდული ტრენინგების უზრუნველყოფა (პრაქტიკული ტრეინინგების და მხარდამჭერი მეთვალყურეობის სახით).

3. რეანიმატოლოგთა ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID 19-ის კლინიკურ ჯგუფთან და უზრუნველყოფს მის წევრებთან კონსულტაციებს მიმდინარე რეჟიმში.

4. რეანიმატოლოგთა ჯგუფს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს რეანიმატოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილი რეანიმატოლოგთა ჯგუფის სხვა წევრი;

5. რეანიმატოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელის არჩევა ხდება რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრების მიერ, სრული შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით პირველივე სხდომაზე;

6. რეანიმატოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი:

ა) უზრუნველყოფს რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრების მობილიზებას სამინისტროს მითითების შესაბამისად;

ბ) კოორდინაციას უწევს რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრების საქმიანობას;

გ) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. რეანიმატოლოგების ჯგუფის წევრის ფუნქციები და მოვალეობები:

ა) რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრი ვალდებულია:

ა. ბ) მონაწილეობა მიიღოს რეანიმატოლოგთა ჯგუფის სხდომებში;

ა.გ) სამინისტროს მითითების შესაბამისად, სათანადო ხელშეკრულების ფარგლებში, მართოს კრიტიკული და მძიმე პაციენტი ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19-ის დიაგნოზის დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის მობილიზებულ კლინიკებში ქვეყნის მასშტაბით;

ა.დ) შექმნას რეანიმატოლოგთა და რეანიმაციის უმცროსი ექიმების მობილური ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მასთან ერთად უზრუნველყოფს კრიტიკული და მძიმე შემთხვევების მართვას სამინისტროს მიერ მითითებულ რეგიონებში და კლინიკებში.

8. რეანიმატოლოგთა ჯგუფის სამდივნოს ფუნქციის შესრულებას უზრუნველყოფს სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველო.

9. რეანიმატოლოგთა ჯგუფის წევრის მიერ კრიტიკული და მძიმე შემთხვევების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.